ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი № 9

სხდომის ჩატარების დრო:

7 ივლისი, 2023 წელი

სხდომის ჩატარების ადგილი:

რუსთაველის გამზირი №3.
ადგილობრივი თვითმმართველობის
შენობაში არსებული სხდომათა დარბაზი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე მეცხრე სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია.

ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები, ბატონები: თ.ნადირაძე და ტ.ლილუაშვილი, საკრებულოს წევრები: დ.მხეიძე, მ.ჩიხლაძე, ბ.მახარაძე, მ.ნიჟარაძე, ჯ.ბიბილეიშვილი, მ.ჭოხონელიძე, მ.სიმონიძე, ბ.ქებულაძე, თ.ჯუღელი, ზ.მამასახლისი, მ.რიჟამაძე, ა.კოპალეიშვილი, მ.კოსტავა, მ.გიორგაძე, კ.გურული, გრ.შუშანია, გ.კილაძე, ხ.არველაძე, ლ.შალამბერიძე, ა.კოხრეიძე, ე.არჩაია.

სულ: 35 წევრიდან - 24 წევრი.

არ ესწრებოდნენ: საკრებულოს წევრები: გ.ბასილაძე, ბ.ხამაშურიძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ნ.ჩიკვაშვილი.

სულ: 11 წევრი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეები: ბატონი ი.უგულავა, ქალბატონი მ.დახუნდარიძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი, ბატონი ი.ჟორჟოლიანი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - სამდივნო განყოფილების უფროსი, ქალბატონი ც.პატარიძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - საქმისწარმოებისა და მოქალაქეთა მიღების განყოფილების უფროსი, ქალბატონი მ.ავალიანი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - იურიდიული განყოფილების უფროსი, ქალბატონი მ.სვინტრაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი, ქალბატონი თ.მელქაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი პ.ადამაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - შიდა აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი გ.სანდუხაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი, ქალბატონი თ.ბერიშვილი, მერიის სამსახურებისა და საკრებულოს აპარატის სხვა პასუხისმგებელი მუშაკები, საინფორმაციო საშუალებათა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სხდომა გახსნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ.

საკრებულოს მიმდინარე სხდომის დღის წესრიგის პროექტის წარმოდგენამდე გაკეთდა **განცხადებები:**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე, ბატონი **გიორგი კილაძე:** „პირველ რიგში

მინდა მხარდაჭერა გამოვუცხადო მთავარი არხის ჟურნალისტებს. „ქართული ოცნების“ მიერ დაორგანიზებული ძალადობრივი ფაქტი ჟურნალისტებზე და პენსიონერებზე „სამართლებრივად“ განხორციელდა, მაშინ, როდესაც მაისის თვიდან მოყოლებული ქვეყანაში 17%-ით არის გაზრდილი სოციალურად დაუცველთა რიცხვი და იმის ნაცვლად, რომ სახელმწიფო ზრუნავდეს ამ ადამიანებზე, გადასულია ძალადობაზე. ფრაქციის სახელით ჩემი სოლიდარობა მათ და მთავარი არხის ჟურნალისტებს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „დავაფიქსიროთ თუ გვაქვს შენიშვნები დღის წესრიგთან დაკავშირებით, ხოლო პოლიტიკური განცხადებები გავაკეთოთ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დასრულების შემდეგ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **გრიგოლ შუშანია** (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „კარგი იქნებოდა ქალაქის მერიც ყოფილიყო დღევანდელ საკრებულოს სხდომაზე. ყველა დეპუტატს შემოუვიდა წერილი „ოქროს ჩარდახთან“ დაკავშირებით. შეიცვალა ხელშეკრულება და საზოგადოების სწორი ვნებათაღელვა გამოიწვია შენობის იერსახესთან დაკავშირებულმა ცვლილებებმა. ნამდვილად არ ჰგავს იმას, რაც უნდა მიგვეღო. კარგი იქნება თუ ვიმსჯელებთ პროექტის ცვლილებაზე. შევაჩეროთ ამ პროექტის განხორციელება, ჩავრთოთ სპეციალისტები, საზოგადოება, ვინაიდან, ეს არ არის უმნიშვნელო საკითხი, ვინაიდან, ბევრი ადამიანი შრომობდა მისი იერსახის შენარჩუნებაზე და ჩემი აზრით, ის ჩვენი მეფეების დროის ერთ-ერთი შემონახული ნაწილია. ვთვლი, რომ ეს არის ძალიან საფუძვლიანი შეშფოთება საზოგადოების. პარტიიდანაც გვექნება ამაზე რეაგირება და ჩვენ ჩავერთვებით ამ პროცესში. მოვიწვიოთ საზოგადოება და კიდევ ერთხელ არ მივიღოთ ის, რაც მივიღეთ თეთრ ხიდთან დაკავშირებით. მე მერისგან თავის დროზე მივიღე დაპირება, რომ ის იფიქრებდა თეთრი ხიდის ზედაპირზე და მას დაუბრუნდებოდა ძველი იერსახე. გასაგებია ის პრობლემები, რომლებიც იყო, მაგრამ მას შემდეგ გავიდა დიდი დრო და ახლა ვიზრუნოთ იმაზე, რომ თეთრი ხიდის ნაცვლად არ მივიღოთ „ჟანგის“ ხიდი. ეს დაპირება ჩვენ, ყველამ ერთად მივიღეთ და ძალიან მნიშვნელოვანი იქნება მისი შესრულება.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **ანა კოხრეიძე** (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „ბატონო ირაკლი, მოქალაქეა სხდომაზე და თუ შეიძლება შეკითხვა აქვს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **მამუკა რიჟამაძე:** „კარგი იქნება, თუ ჯერ განვიხილავთ დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **მაია სიმონიძე** (პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“) „მოდით შევთანხმდეთ და ყველაფერს მისი სახელი დავარქვათ. უსახელო მოქმედებას ჰქვია „უთაობა“. გადავწყვიტოთ, გვინდა საკრებულოს სხდომა თუ მოქალაქეებთან შეხვედრის საათი. მე ორივეში მივიღებ მონაწილეობას და ორივეს მივესალმები. ან მოვიწვიოთ მოქალაქეები და შევხვდეთ მათ, ან ჩავატაროთ საკრებულოს სხდომა. ამ საკითხების განხილვას დასჭირდება დაახლოებით ერთი საათი და სხდომის შემდეგაც შეიძლება მოქალაქეებთან შეხვედრა. ჩვენ არ გვეკადრება უთაობა, მოუმზადებლობა და ყველაფერი, გინდათ თუ არ გინდათ, თქვენ გიკავშირდებათ ბატონო ირაკლი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **გრიგოლ შუშანია** (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „მე მაქვს უკეთესი წინადადება. მოდით წერილობით გამოვაგზავნოთ რომელ საკითხს ვეთანხმებით და რომელს არა. საზოგადოებას ხომ უნდა გავაგებინოთ რას ვფიქრობთ საკითხთან დაკავშირებით?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „სხდომის დაწყების წინ გავაკეთე განცხადება, რომ თუკი გაქვთ შენიშვნები დღის წესრიგთან დაკავშირებით, წარმოადგინეთ. რთავთ მიკროფონს და საუბრობთ სულ სხვა საკითხებზე, მათ შორის, ძალადობის ფაქტზე, რომელიც მოხდა სხვა რეგიონში. მესმის, ნებისმიერი ძალადობა არის მიუღებელი და ეს არის ჩემი მარტივი კომენტარი. რაც შეეხება „ოქროს ჩარდახს“, მოქალაქეების პოზიციას, ჯერ გავყვეთ დღის წესრიგს, თუ დღის წესრიგთან დაკავშირებით გაქვთ შენიშვნა, წარმოადგინეთ. ჩვენ შეგვიძლია პოლიტიკური განცხადებები რეგლამენტით გათვალისწინებული წესით, გავაკეთოთ

სხდომის ბოლოს. თუ სხვა მოტივაციები გვაქვს, რომ რაღაც ფორმით ეს იყოს საინტერესო მედიისა და ნებისმიერი მოქალაქისთვის, გასაგებია და მესმის. ჩვენ შეგვიძლია ამას დავუთმოთ ერთი საათიც და მეტიც, შესაბამისად, მოქალაქეების საჭიროებებზე ვისაუბროთ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დასრულების შემდეგ. რაც შეეხება მოქალაქეებს, არა ერთხელ დამიფიქსირებია, რომ საკრებულოს ნებისმიერი წევრის სამუშაო ოთახისა და საკრებულოს სხდომათა დარბაზის კარი ყოველთვის ღიაა მათთვის. მათ პოზიციას მოვისმენთ „ოქროს ჩარდახი“ იქნება ეს, ქონება თუ ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით.

რაც შეეხება თქვენს შენიშვნას ქალბატონო მაია, ეს უკვე მეორე შენიშვნაა. მესმის, მისაღებია, მაგრამ როგორც სხდომის თავმჯდომარე განვმარტავ, რომ მე ვერავის ავუკრძალავ საუბარს სხდომის თავში იქნება ეს თუ სხდომის ბოლოს, ან დეპუტატს ვერ მივცემ შენიშვნას რა უნდა თქვას და რა არა.“

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე მე-9 სხდომის დღის წესრიგის პროექტის შესახებ**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე მე-9 სხდომის **დღის წესრიგის** შემდეგი პროექტი:

1. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების, საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა და საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი ირაკლი შენგელია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ბატონი ივანე ჟორჟოლიანი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს აპარატის უფროსი

2. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცების, მერიის საჯარო მოსამსახურეთა და მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი პეტრე ადამაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის
ხელმძღვანელი

3. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტს საკრებულოს 2022 წლის 25 მაისის № 25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

გაგა სანდუხაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - შიდა აუდიტის სამსახურის
ხელმძღვანელი

4. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის №359 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ქალბატონი თინათინ ბერიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

5. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მარტის №177 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ქალბატონი თინათინ ბერიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ საკრებულოს რიგგარეშე მე-9 სხდომის დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 24-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გ.ბასილაძე, ბ.ხამაშურიძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე მე-9 სხდომის **დღის წესრიგი** დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, **ირაკლი შენგელიას** მიერ ზემოთ წარმოდგენილი რედაქციით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის პირველი საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების, საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა და საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის**

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ზემოაღნიშნულ საკითხზე **დადგენილების** პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა, ბატონმა **ივანე ჟორჟოლიანმა.**

(დადგენილების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „მოგეხსენებათ, რომ „USAID-ის“ ადგილობრივი თვითმმართველობის ფარგლებში მუშავდება საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის პოლიტიკური დოკუმენტი და სტრატეგიული გეგმა. ჩვენ ამ დოკუმენტის შემუშავების პროცესში გვინდა გავაძლიეროთ საფინანსო-საბიუჯეტო კომისია და შესაბამისად, როგორც დოკუმენტზე მუშაობის პროცესში, ასევე, დოკუმენტის იმპლემენტაციის ნაწილში გვინდა ვიყოთ მომზადებული. ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი დოკუმენტია. ამ პროცესში ჩაერთვება ყველა შესაბამისი დარგობრივი კომისია და მათ შორის წამყვანი იქნება საფინანსო-საბიუჯეტო კომისია. ეს დოკუმენტი იქნება საფუძველი, რომელიც მოამზადებს სხვა კომისიების სტრატეგიულ დოკუმენტებს და სამოქმედო გეგმებს. ჩვენ, ასევე, ვამუშავებთ საკრებულოს პოლიტიკის დოკუმენტსა და სამოქმედო გეგმას. მათ შორის არის საზედამხედველო ფუნქციების გაძლიერებაც, რომელიც „USAID-ის“ ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამის მეშვეობით მუშავდება. ვფიქრობთ, მაქსიმალურად ხელი შევუწყოთ ერთის მხრივ, ამ პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავებას და მეორეს მხრივ, ამ დოკუმენტის იმპლემენტაციას. ეს დოკუმენტი იქნება ერთგვარი მარკერი და გზამკვლევი სხვა კომისიების ჩარჩო დოკუმენტების შემუშავების პროცესში. შემდეგ ეს ხუთივე დოკუმენტი, დარგობრივი კომისიების მიხედვით, უზრუნველყოფს საკრებულოს სამოქმედო გეგმისა და პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავებას. ჩვენთვის მთავარია, საკრებულო ამ პროცესისთვის იყოს მომზადებული, მათ შორის, ადამიანური

რესურსის თვალსაზრისით. აქ არ არის საუბარი ბიუროკრატიის ზრდაზე. დეპუტატებს გთხოვთ მაქსიმალურად დაუჭიროთ მხარი ამ საკითხს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **კობა გურული** (პოლიტიკური პარტია „მესამე ძალა“): „თუ შეიძლება კონკრეტიკა ბატონო ირაკლი. დოკუმენტის სათაურში წერია „თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“, ამის შესახებ ცოტა ვრცლად თუ შეიძლება საზოგადოებამ რომ იცოდეს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ეს არის ბატონო კობა, სათაური იმ დადგენილებისა, რომელშიც შედის ცვლილება. ამ დოკუმენტით დამტკიცებულ დანართს - შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეთა ნუსხას ემატება ერთი ხელშეკრულებით გათვალისწინებული კადრი, მოწვეული სპეციალისტი საფინანსო - საბიუჯეტო კომისიაში, რაც შესაბამისად გააძლიერებს ამ კომისიის მუშაობას.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 23-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გ.ბასილაძე, ბ.ხამაშურიძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ნ.ჩიკვაშვილი, გრ.შუშანია.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 22 წევრი, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა: 1-მა წევრმა, ბატონმა გ.კილაძემ), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის პირველ საკითხზე მიღებულ იქნეს **დადგენილება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის, **ივანე ჟორჟოლიანის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების, საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა და საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18

იანვრის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის
თაობაზე“ **დადგენილება №68** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-2 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცების, მერიის საჯარო მოსამსახურეთა და მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **დადგენილების** პროექტი, 2023 წლის 5 ივლისის ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით (**დადგენილების პროექტის მე - 2 მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე“; დადგენილების პროექტის №2 დანართის მე-2 პუნქტში გასწორდა ტექნიკური ხარვეზი და იგი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის მეორად სტრუქტურულ ერთეულში – საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების განყოფილებაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული საჯარო მოსამსახურე – 1 ერთეული, თანამდებობრივი სარგოს ოდენობა – 1573 ლარი“; დადგენილების პროექტის №2 დანართის მე-5 პუნქტში („ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველად სტრუქტურულ ერთეულში – სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული საჯარო მოსამსახურე“) გასწორდა ხელშეკრულებით განსაზღვრული ერთეულის გამოანგარიშებისას დაშვებული ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, 2 ერთეული შეიცვალა 3 ერთეულით),** ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელმა, ბატონმა **პეტრე ადამაძემ**.

(დადგენილების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **გრიგოლ შუშანია** (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „თუ შეიძლება, დაგვიკონკრეტეთ რამდენი ადამიანი ემატება და რომელ სამსახურში?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი **პეტრე ადამაძე:** „სულ გათვალისწინებულია ოთხი ცვლილება. პირველი შეეხება ადმინისტრაციულ სამსახურს, სადაც ემატება სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილის ერთი საშტატო ერთეული. მეორე და მესამე ცვლილებები განსაზღვრულია აუდიტის სამსახურში, სადაც ჩამოყალიბდება ორი მეორადი სტრუქტურული ერთეული. აქედან, ერთი იქნება შიდა აუდიტის განყოფილება და მეორე რეკომენდაციების მონიტორინგის განყოფილება. აღნიშნულის მიზანია პირველ რიგში აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოება და ასევე, ჩვენი შიდა აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების მონიტორინგის შესრულების ეფექტიანობის ამაღლება, მეოთხე ცვლილება შეეხება სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურს. აქ ემატება ერთი შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული მოსამსახურე, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ქალაქის გენერალური გეგმის შემუშავების ეფექტურობაზე. “

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **გრიგოლ შუშანია** (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“)**:** „მილიონობით ლარი გაიცემა ისედაც ხელფასებზე და რა მასშტაბური სამუშაოა ასეთი და როდემდე უნდა ვამატოთ თანამშრომლები?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი **პეტრე ადამაძე**: „რაც შეეხება ჩემ მოადგილეს. მოგეხსენებთ, რომ ადმინისტრაციული სამსახურის მუშაობა შეგვიძლია განვიხილოთ ორი მიმართულებით. ესენია: ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულები ანუ განყოფილებები და ასევე, ადმინისტრაციული სამსახურის 12 ადმინისტრაციული ერთეული. ჯამში სამსახურში 158 საჯარო მოხელე და საჯარო მოსამსახურეა. ვინაიდან, ორი მიმართულება

განიხილება, ეფექტური იქნება, ამ მიმართულებებს საკუთარი კურატორი მოადგილე ჰყავდეს. რაც შეეხება აუდიტის სამსახურს. აქ საუბარია აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოებაზე. თქვენ ყველას კარგად მოგეხსენებათ არქიტექტურის სამსახურში სამუშაოს მასშტაბურობა. აქედან გამომდინარეა ამ სამსახურში მოსამსახურის დამატების საჭიროება. სახელფასო ფონდს რაც შეეხება, მოგეხსენებათ, რომ საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით 10%-იანი ზრდა შეეხება ყველა საჯარო მოხელეს და საჯარო მოსამსახურეს. ეს განსაზღვრავს საჯარო სამსახურის მიმზიდველობას პოტენციური სამუშაო ძალისათვის, რათა იყოს კონკურენტუნარიანი კერძო სექტორთან მიმართებით. ჯამში, აღნიშნული ცვლილება ძალიან მინიმალურია და დიდ გავლენას არ იქონიებს სახელფასო ფონდზე."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **გრიგოლ შუშანია** (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"): „სწორედ ამას ვამბობ, რომ 158 ადამიანი ძალიან ბევრია. არ გამოვრიცხავ, შემდეგ თქვენ მოადგილესაც დასჭირდეს კიდევ ახალი თანამშრომლის დამატება. ისიც აღვნიშნოთ, რომ ხელფასის 10%-იანი მატება შეეხო იმ რიგით თანამშრომლებს, რომლებიც მუშაობენ და არა ქალაქის მერს, რომელსაც გაორმაგებული აქვს ხელფასი. თქვენ გინდათ თქვათ, რომ ისეთი რთულია ქუთაისის მერობაზე კანდიდატის შერჩევა, რომ ხელფასის გაორმაგება გახდა საჭირო?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი **იუზა უგულავა:** „მაშინ 700 ადამიანი მუშაობდა მერიაში და დღეს 300 მუშაობს, გააჩნია რას ედრებით."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **ანა კოხრეიძე** (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"): „მე მინდა ვთქვა, რომ მოქალაქე სოციალურ დახმარებას წელიწადში იღებს ერთჯერადად 100 ლარის ოდენობით. ერთმა მოქალაქემ, ხუთი შვილის დედამ დამირეკა და მითხრა, რომ 3 თვის წინ დაწერა განცხადება და ჯერაც არ ჩარიცხვია თანხა. იქაც კი შეფერხებებია. ადრე, წინა წლებში იყო მეტი და ახლა დაიწია. ამ 100 ლარს არაფერი მომატებია, ხალხის მდგომარეობა არანაირად არ გაუმჯობესებულა, ხოლო ქალაქის მერს 100%-ით უნდა

გაეზარდოს ხელფასი, თანამშრომლები დაემატოს სამსახურებში. იმ ადამიანებს კი, რომლების გამოც ჩვენ აქ ვსხედვართ, არაფერი ემატებათ. 158 თანამშრომელიც ძალიან ბევრია და კეთილი ინებეთ, ვინც მანდ სხედხართ, იმუშავეთ. არაა ამდენი მოადგილეები საჭირო და ეს ხელფასები წავიდეს ხალხისკენ და მათ მოხმარდეს. ეს ქვეყანა თქვენთვის არავის უჩუქებია, ეს ქვეყანა არის ყველასი და ასევე, იმ სოციალურად დაუცველი ხალხის."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **კობა გურული** (პოლიტიკური პარტია „მესამე ძალა"): „როგორც გავიგე, ემატება თანამშრომელი არქიტექტურის სამსახურში. ამომრჩევლებისგანაც იყო მოთხოვნა, რომ დავეხმაროთ მათ. ბევრი, მოცულობითი სამუშაოების გამო ჭიანურდება ხოლმე პროექტების გაცემა საცხოვრებელი იქნება თუ კერძო. ამ პროცესს 2-3 თვე აგვიანდება. მაინტერესებს, აისახება თუ არა ეს საშტატო ცვლილება პირდაპირპროპორციულად მოქალაქის მოთხოვნის დროულად დაკმაყოფილებაზე, მოგვცემს რაიმე შედეგს?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი **იუზა უგულავა:** „ეს ცვლილება არანაირ კავშირში არ არის პროექტების გაცემის დაჩქარებასთან. თქვენ საუბრობთ ნებართვების მიღებაზე. თქვენ ამბობთ 2-3 თვე. შუალედურ წერილებს არ ათვლით? მოქალაქეს მისდის შუალედური წერილი. თქვენ ვერ წარმოადგენთ განცხადებას, რომელსაც არ ჰქონდა არანაირი შენიშვნა და 10 დღეში ვერ მიიღო პასუხი. შუალედურ წერილებში მითითებულია თუ რომელ სააგენტოშია გადაგზავნილი წერილი ინფორმაციის მოძიების მიზნით. წარმოდგენილი ცვლილება შეეხება მხოლოდ გენერალურ გეგმას."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 23-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გ.ბასილაძე, ბ.ხამაშურიძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ნ.ჩიკვაშვილი, ე.არჩაია.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 18 წევრი, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა: 5-მა წევრმა: გ.კილაძემ, გრ.შუშანიამ, ა.კოხრეიძემ, ხ,არველაძემ და ლ.შალამბერიძემ), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეორე საკითხზე მიღებულ იქნეს **დადგენილება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელის, **პეტრე ადამაძის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 7 ივლისის **№69 დადგენილების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცების, მერიის საჯარო მოსამსახურეთა და მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **დადგენილება №69** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-3 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტს საკრებულოს 2022 წლის 25 მაისის № 25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **დადგენილების** პროექტი, 2023 წლის 5 ივლისის ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით (**დადგენილების პროექტის მე - 2 მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე“; დადგენილების პროექტის პირველი მუხლიდან ამოღებულ იქნა მე-3 პუნქტი: „3.სამსახურის სრული დასახელებაა: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული – შიდა აუდიტის სამსახური“. აღნიშნულიდან გამომდინარე, დადგენილების პროექტის დანართის პირველი მუხლის პუნქტები გადაინომრა თავიდან; დადგენილების პროექტის დანართის პირველი მუხლის მე-5 პუნქტსა და მე-4 მუხლის მე-2 პუნქტში „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და**

კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონი შეიცვალა „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით; დადგენილების პროექტის დანართის მე-6 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებში შეტანილ იქნა რედაქციული ხასიათის ცვლილება და მე-2 და მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „2. მარწმუნებელი საქმიანობა ხორციელდება შიდა აუდიტორული შემოწმების სახით და მოიცავს დაწესებულების რისკის მართვის, კონტროლისა და მმართველობითი პროცესების დამოუკიდებელი შეფასების მიზნით მტკიცებულებების ობიექტურ შესწავლას. მარწმუნებელი საქმიანობის ხასიათი, მასშტაბი, აუდიტის ობიექტები, შემოწმების სიხშირე, დრო/პერიოდი, ანგარიშის შინაარსი და შიდა აუდიტის განხორციელებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები განისაზღვრება შიდა აუდიტის სამსახურის მიერ.“„3. საკონსულტაციო საქმიანობა წარმოადგენს მომსახურებას, რომლის ხასიათი და მასშტაბი შეთანხმებულია ობიექტთან და რომელიც ემსახურება დაწესებულების რისკის მართვის, კონტროლისა და მმართველობითი პროცესების გაუმჯობესებასა და დამატებითი ღირებულების შექმნას, შიდა აუდიტორის მიერ მენეჯერული პასუხისმგებლობის აღების გარეშე. საკონსულტაციო მომსახურება მოიცავს კონსულტაციის გაწევას, რჩევის მიცემას, ტრენინგს, ფასილიტაციას.“; დადგენილების პროექტის დანართის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი ამ პუნქტის დანარჩენ ქვეპუნქტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით გასწორდა რედაქციულად და ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: „ზ) დაწესებულების წინაშე დასახული მიზნებისა და არსებული გამოწვევების წინაშე საქმიანობის ეკონომიკური, პროდუქტიული და ეფექტური წარმართვის ხელშეწყობის მიზნით საკონსულ-ტაციო მომსახურების განხორციელება, რაც მოიცავს რჩევის მიცემას, ტრენინგს, ფასილიტაციას.“; დადგენილების პროექტის დანართის მე-11 მუხლის სათაური ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „მუხლი 11. სამსახურის უფლებამოსილება“; დადგენილების პროექტის დანართის მე-13 მუხლი (სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე/მოადგილეები) გადაინომრა ოთხ პუნქტად. ამ მუხლის ბოლო, მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „4. სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე: ა) ანაწილებს სამსახურის ხელმძღვანელის დავალებებს სამსახურის პროფესიულ საჯარო მოხელეებს შორის; ბ) შიდა აუდიტორული შემოწმებისათვის აკომპლექტებს და კოორდინირებას უწევს შიდა აუდიტის ჯგუფს, მონაწილეობს შიდა აუდიტორული ანგარიშების შედგენასა და მასთან დაკავშირებულ პროცედურებში, ასევე მეთვალყურეობას უწევს რეკომენდაციების მონიტორინგის პროცესს; გ) აკონტროლებს სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულების მუშაობას, აღძრავს შუამდგომლობას სამსახურის ხელმძღვანელის წინაშე მოხელეთა წახალისების ან/და დისციპლინურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით; დ) სამსახურის ხელმძღვანელს წარუდგენს წინადადებებს მოხელეთა პროფესიული განვითარების კუთხით გასამართი ღონისძიებების შესახებ, მუდმივად იძიებს ინფორმაციებს შესაბამის ტრენინგ-კურსებისა და კვალიფიკაციის ასამაღლებელი ფორუმების შესახებ.“; დადგენილების პროექტის დანართის მე-15 მუხლში მე-5 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის შემდეგ გასწორდა ქვეპუნქტების ნუმერაცია) ცვლილებით,

წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - შიდა აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელმა, ბატონმა **გაგა სანდუხაძემ.**

(დადგენილების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **ხათუნა არველაძე** (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „კომისიური მუშაობის დროსაც მქონდა კითხვები და აქაც მინდა დავსვა. როდესაც ვეცნობით განმარტებით ბარათს ან დადგენილების პროექტს, არ იკითხება კონკრეტულად თუ რა ცვლილება შედის აქტში. აქედან გამომდინარე, მიჩნდება ეჭვი რამდენად ექვემდებარება საკითხი ცვლილების შეტანას. ხომ არ არსებობს აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველი? სასურველი იქნება ნებისმიერი აქტის პროექტის მომზადების დროს იყოს ჩაშლილი კონკრეტულად სად შედის ცვლილება, მითითებები იყოს გაკეთებული ისე, როგორც ხდება ხოლმე ნორმატიული სამართლებრივი აქტების მომზადების დროს. ასეთი ბუნდოვანების გამო სამართლებრივად მეც მიჭირს დოკუმენტში ბევრი რამის გარკვევა და რიგითი მოქალაქისთვის ბევრად უფრო გაურკვეველი იქნება.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „განმარტებით ბარათს გულისხმობთ ქალბატონო ხათუნა თუ რამე სხვა ნაწილს?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **ხათუნა არველაძე** (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „დადგენილების პროექტშიც უნდა იყოს ჩაშლილი და რა თქმა უნდა, განმარტებითი ბარათიც არ უნდა იყოს ასე მშრალი. აქ ისეთი შემთხვევაა, რომ უნდა დაიჭირო ხელში მოქმედი ნორმატიული აქტი და შეადარო სად არის განხორციელებული ცვლილება. ეს ასე არ უნდა იყოს, უნდა იყოს გასაგები ნებისმიერისთვის.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ცვლილების შემთხვევაში დეპუტატს და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეიძლება მეტი ძალისხმევა და დრო დასჭირდეს იმის დასადგენად თუ რომელ მუხლში

შედის ცვლილება და ამ ნაწილში აბსოლუტურად გეთანხმებით. რაც შეეხება იმას, ცვლილება შევიტანოთ თუ ძალადაკარგულად გამოვაცხადოთ, შეგვიძლია გამოვიყენოთ პრაქტიკა, რომელიც ჩვენ გვქონია და ასევე, არსებობს სხვა პრაქტიკაც, რომელიც მთავრობის ადმინისტრაციაში ხორციელდება. მე და ქალბატონმა თეამ ამ საკითხთან დაკავშირებით ძალიან ბევრი ვიმსჯელეთ იურიდიული კომისიის ფორმატში თუ რა სირთულე შეიძლება დაუდგეს ამ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ კონკრეტულ ადმინისტრაციულ ორგანოს, ან მის ხელმძღვანელს. ეს ჩვენი განსახილველი თემა არ არის და ვფიქრობ, ეს მათი და მათი კომპეტენტური იურისტების, რომლებიც განყოფილებაში და განყოფილების ხელმძღვანელად ჰყავთ, გადასაწყვეტია. რაც შეეხება განმარტებით ბარათს, ამ საკითხში აბსოლუტურად გეთანხმებით, იყო ხარვეზი. ორი იდენტური განმარტებითი ბარათი იყო მოწოდებული ორ სხვადასხვა საკითხზე, შესაბამისად, ეს გასწორდა და მერის დამატებით წერილიც არსებობს, რომელიც განვიხილეთ კომისიურ ფორმატში და მოგაწოდეთ, მასში დეტალურად არის ასახული განმარტებითი ბარათის ცვლილება. თუ კიდე შორს წავალთ, მე ერთ რამეშიც შემიძლია დაგეთანხმოთ, რომ განმარტებითი ბარათის მომზადების პროცესში აბსოლუტურად ნათლად უნდა აისახოს ის მიზანი, რომელიც კონკრეტულ სამსახურს ან კონკრეტულ აქტს გააჩნია. მე აქ ძალიან ბევრი ჩემი მოსაზრება მაქვს და დავაფიქსირე როგორც კომისიაზე, ასევე კონკრეტული სამსახურის ანგარიშის მოსმენის დროს. ამ სამსახურს სჭირდება სხვა პოლიტიკური მოცემულობა, სხვა რეალობა და ამაზე მეტ სიღრმისეულ საუბარს აღარ გავაგრძელებ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **გრიგოლ შუშანია** (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „იმ კითხვის პასუხი, რომელიც მე დავსვი, სწორედ განმარტებით ბარათში უნდა ყოფილიყო ასახული. ამისთვისაა განმარტებითი ბარათები და არა ზოგადი ჩანაწერებისთვის. რაც შეეხება აუდიტის დასკვნას, მე მიმაჩნია, რომ ეს სწორი გადაწყვეტილებაა, მაგრამ ძალიან დაგვიანებული. რა რეკომენდაციასაც ეს სამსახური გასცემს მისი მონიტორინგი, თუ რა შეიცვალა, უნდა არსებობდეს. მთავარი კრიტერიუმი ამ სამსახურის ეფექტურობის არის ის, რომ რაც შეიძლება ნაკლები შენიშვნა იქნეს ასახული შემდგომ სახელმწიფო აუდიტის დასკვნაში. ერთადერთი ამ სამსახურის დასკვნა მაქვს ნანახი საკმაოდ კარგი და

კვალიფიციური, მაგრამ მას შემდეგ გავიდა ორი წელი. მერსაც მივმართე ამის შემდეგ წერილობით, მაგრამ მითხრა რომ კერძო აუდიტორს ვერ მოიწვევდა, ვინაიდან თითონაც იგივე ფუნქციები ჰქონდა და ამიტომ დასკვნებს ვერ მომაწოდებდა. სიყვარულს უნდა მალვა და არა აუდიტის დასკვნას. თუ ჩვენ ეს ინფორმაცია არ გვექნა, მაშინ ზედამხედველობის ფუნქციას ვერ განვახორციელებთ. ეს ცვლილება ნამდვილად კარგია. კიდევ მინდა ერთი საკითხი დავსვა. სამი დასკვნის წარმოდგენის ვალდებულება აქვს თქვენ სამსახურს და თვითმმართველობას. სამივეს ერთად წარმოდგენას აპირებთ თუ წლების მიხედვით? 2025 წლამდე უნდა წარმოადგინოთ სამივე. თუ წლების მიხედვით წარმოგვიდგენთ უფრო ნაყოფიერი იქნება და არა მოვალეობის მოხდის მიზნით."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ცვლილების ნაწილში, სჯობს გვიან ვიდრე არასდროს. რას წარმოგვიდგენენ, ამასთან დაკავშირებით კომისიაზეც გვქონდა მსჯელობა. აქ ვფიქრობ ორგანული კანონის დონეზე უნდა შეიცვალოს მიდგომა."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - შიდა აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი **გაგა სანდუხაძე:** „ამ ნაწილში ჩვენ დამოკიდებული ვართ მემორანდუმზე და დონორზე, ვისთანაც არის გაფორმებული ხელშეკრულება. ეს გულისხმობს იმას, რომ მათი მონაწილეობით და შეთანხმებით უნდა ჩატარდეს შესაბამისი აუდიტორული შემოწმებები და მხოლოდ ამის მერე იქნება შესაძლებელი მისი განხილვა საკრებულოზე."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „რამდენადაა შესაძლებელი ასეთი ტიპის მემორანდუმი გაფორმდეს საკრებულოსთან? ბატონო გიგა, როგორ ფიქრობთ, გვაქვს შესაძლებლობა საკრებულოსთან გავაფორმოთ მემორანდუმი და წარმოგვიდგინოთ დასკვნები? როდესაც მესამე პირთან აფორმებ ხელშეკრულებას და მას უდებთ პირობას, რომ საკრებულოს წარუდგენთ, მაშინ მეც შემიძლია გამოვიყენო რაღაცა ფორმით პოლიტიკური ბერკეტი, მოველაპარაკო მესამე პირს აწარმოოს მოლაპარაკებები აუდიტის სამსახურთან, გაგიფორმოთ მემორანდუმი, დახმარება გაგიწიოთ ან ჩვენ გავაფორმოთ. აქ ბევრი

ნიუანსია, რაზეც შეიძლება საუბარი. კარგი პრეცენდენტია „თბილისის შესახებ“ კანონი, როდესაც აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელი პირდაპირი წესით საკრებულოს წინაშეა ანგარიშვალდებული. ჩემი აზრით, ეს მაგალითი უნდა გავრცელდეს სხვა თვითმმართველობებზეც.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 23-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გ.ბასილაძე, ბ.ხამაშურიძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ნ.ჩიკვაშვილი, ე.არჩაია.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 22 წევრი, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა: 1-მა წევრმა, ბატონმა გ.კილაძემ), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მესამე საკითხზე მიღებულ იქნეს **დადგენილება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - შიდა აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელის, **გაგა სანდუხაძის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 7 ივლისის **№70 დადგენილების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტს საკრებულოს 2022 წლის 25 მაისის № 25 დადგენილ **დადგენილება № 70** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-4 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16**

მარტის №359 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **მაია სიმონიძე** (პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“): „პეტრიწის ქუჩაზე რომელ ადგილზეა საუბარი?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი, ქალბატონი **თინათინ ბერიშვილი:** „ეს არის მე-2 შესახვევი №3, ყოფილი „სააგურე“. მუნიციპალიტეტის საკუთრებაა და ემატება ნუსხაში.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **მაია სიმონიძე** (პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“): „ახლა რა გადის აუქციონზე?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი, ქალბატონი **თინათინ ბერიშვილი:** „ტერიტორიაზე არის ძველი შენობა-ნაგებობები და პირველ ეტაპზე უნდა მოხდეს ამ შენობების დემონტაჟი, ნაგვის გატანა და დასუფთავება. ამ ეტაპზე ნუსხაში ემატება შენობების დაშლა-გატანის პირობები. პირველ რიგში აუქციონი ამაზე გამოცხადდება.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **ანა კოხრეიძე** (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“) „ეს ტერიტორია რომ გაიყიდება, რეკრეაციულ ზონას ხომ არაფერი ემუქრება?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი, ქალბატონი **თინათინ ბერიშვილი:** „პირველ რიგში მოხდება დემონტაჟი, ტერიტორია საკმაოდ დიდია და მიმდინარეობს მუშაობა იმაზე, რომ სრულად იქნეს გათვალისწინებული როგორც რეკრეაციული, ასევე, მშენებლობის ნაწილი და ამის შემდეგ მოხდება სააუქციონე პირობების დამუშავება, რომ პირობებით მოხდეს ტერიტორიის გასხვისება.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 24-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გ.ბასილაძე, ბ.ხამაშურიძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 19 წევრი, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა: 5-მა წევრმა: გ.კილაძემ, გრ.შუშანიამ, ა.კოხრეიძემ, ხ,არველაძემ და ლ.შალამბერიძემ), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის, **თინათინ ბერიშვილის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის №359 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **განკარგულება №208** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-5 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მარტის №177 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი, 2023 წლის 5 ივლისის ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით **(განკარგულების დანართის 216-ე და 217-ე პუნქტების გასწვრივ, მიეთითა ქონების საწყისი საპრივატიზაციო საფასურის ოდენობა),** ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ: „ქონების შეფასების დოკუმენტი არ გვქონდა, მოვიდა და მალევე გამოცხადდება აუქციონი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მეხუთე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 24-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გ.ბასილაძე, ბ.ხამაშურიძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 19 წევრი, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა: 5-მა წევრმა: გ.კილაძემ, გრ.შუშანიამ, ა.კოხრეიძემ, ხ,არველაძემ და ლ.შალამბერიძემ), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის, **თინათინ ბერიშვილის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის **7 ივლისის №209 განკარგულების პროექტში.**

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მარტის №177 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულება №209 ოქმს თან ერთვის)

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დასრულების შემდეგ, სხდომაზე **განცხადება** გააკეთა მოქალაქე **მათე ჩაფიჩაძემ,** რომელსაც განმარტებები მისცეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა, ბატონმა იუზა უგულავამ და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ.

მოქალაქე მათე ჩაფიძე: „მე გახლავართ მათე ჩაფიჩაძე, ნიკეას ქუჩა N44ა-ს მაცხოვრებელი. ჩემს მეზობლებთნ ერთად ვარ წარმოდგენილი. მინდა მოგახსენოთ ჩვენი პრობლემის შესახებ. ჩვენი კორპუსის სამხრეთ მხარეს დარჩენილია პატარა გასასვლელი, რომელიც გვაკავშირებს ცენტრალურ გზასთან. მოხდა აღნიშნული მიწის ნაკვეთის გასხვისება და იქ იგეგმება მშენებლობა. ეს არ არის ახალი. 2017 წელს, როდესაც ეს მიწის ნაკვეთი გასხვისდა, ჩვენ მივმართეთ მაშინდელ მაჟორიტარ დეპუტატს კახა ბოჭორიშვილს და მისი ჩართულობით იმ დროისთვის მშენებლობის პროცესი შეჩერდა. გვეგონა, რომ ამის შემდეგ მეპატრონესა და მუნიციპალიტეტს შორის შედგებოდა მოლაპარაკება და გამოიყოფოდა ალტერნატიული მიწის ნაკვეთი. პრობლემა იმაშია, რომ ეს მიწის ნაკვეთი არის საზოგადოებრივი დანიშნულების და შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს, რომ იქ არის საფეხმავლო ბილიკი, რომლის ბორდიურების ნარჩენები ახლაც არის შემორჩენილი. ბილიკის გვერდით იწყება სკვერი, რომელშიც გადის ქალაქის

ცენტრალური საკანალიზაციო სისტემა. პროექტში ჩანს, რომ მშენებლობის შემდეგ ეს გზა მთლიანად ჩაიკეტება. საფეხმავლო ბილიკით ვსარგებლობთ სამი დიდი კორპუსი N44ა, N58 და N60. თუ იქ მოხდება განაშენიანება, აღმოვჩნდებით ძალიან ცუდ მდგომარეობაში. ჩვენ, 2017 წელსაც გამოვთქვით პროტესტი და ახლაც გვინდა ჩვენი ხმა მოგაწვდინოთ. რამდენიმე ხნის წინ გამძაფრდა მდგომარეობა, ვინაიდან მოიტანეს სამშენებლო მასალები. ჩვენ გვინდა მუნიციპალიტეტთან ერთად შევხვდეთ მეპატრონეს და იქნებ გამოუყოთ ალტერნატიული ადგილი. ჩვენი ბინის წინ არის მე-20 ბაგა-ბაღი და დილის საათებში ამ გზით მიჰყავთ მშობლებს ბავშვები ბაღში. ყველას გთხოვთ დახმარებას.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი იუზა უგულავა: „ჩვენ გვქონდა ამ კვირაში შეხვედრა. კანონი არანაირად აქ არ არის დარღვეული. 2017 წლამდე გადმოსცა ეს ტერიტორია სახელმწიფომ მერიას. თუ ამბობთ, რომ ტროტუარზე გასასვლელი არ არის, ამის გაკეთება არ არის პრობლემა, მაგრამ ვინაიდან მოსახლეობის თხოვნაა, მე შევხვდი მეპატრონეს, მაქვს მოლაპარაკება, რომ შევთანხმდეთ მონაცვლეობაზე. იმ კვირაში გეტყვით პასუხს, დღეს კი ვერაფერს დაგპირდებით. მთავარია, მოხდეს ჩვენ შორის შეთანხმება.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „როგორც აღმასრულებელმა თქვა, აპირებენ შეხვედრას, მზად ვარ ამ შეხვედრაში ჩავერთო. მეპატრონე მის საკუთრებაზე ახორციელებს კონკრეტულ ქმედებას და გააჩნია ამის ყველანაირი ნებართვა. რაც შეეხება ბატონო მათე, თქვენ მოსაზრებას, ამაშიც გეთანხმებით და თუ რამე ფორმით არის შესაძლებელი, მოსახლეობის ინტერესი ნამდვილად იქნება გათვალისწინებული, მაგრამ ეს პროცესი არ უნდა იქცეს ქაოტურ წესად და არღვევდეს მესაკუთრისა და ბიზნესის ინტერესებს. ჩვენ არ უნდა დავაზარალოთ ბიზნესი და კონკრეტული მესაკუთრის ინტერესები. ეს დრო უკვე ჩავაბარეთ წარსულს. ჩვენი მოვალეობაა ხელი შევუწყოთ ბიზნესის განვითარებას. ორივე მხარის ინტერესები უნდა იქნეს გათვალისწინებული. ბატონი იუზა გვაცნობებს მოლაპარაკების შედეგებს და თუ რამე სახით იქნება საჭირო, ჩვენც ჩავერთვებით.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე მე-9

სხდომის დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის დამთავრებისა და მათთან დაკავშირებით, შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების დასრულების გამო, საკრებულოს რიგგარეშე მე-9 სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ამით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე მე-9 სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე

Irakli Shengelia

Digitally signed by Irakli Shengelia
DN: cn=Irakli Shengelia, serialNumber=PNOGE-60001013166, givenName=Irakli, sn=Shengelia, o=Citizen, c=GE
Date: 2024.06.18 12:37:22 +04'00'

ირაკლი შენგელია

ოქმი შედგენილია საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - სამდივნო განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის, ნ.გუგავასა და ამ განყოფილების უფროსის, ც.პატარიძის მიერ.